

# ხაზარაძე ივანიშვიდს: "ეს ქვეყანა არ არის თქვენნაირი მმართველობის ღირსი"



„თიბისი ბანკის“ დამფუძნებელის მამუკა ხაზარაძის თქმით, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვიდს ძალაუფლების დაკარგვის

## ეშინია.

„ბიძინა ივანიშვიდს ეშინია პირადად ჩვენი, იმ ადამიანებისა და ამომრჩევლის, რომელსაც ამოუვიდა ყველა მდგომარეობა, რაც დღეს არის შექმნილი. ყვედანაირი მეთოდით ცდილობს, შეგვაჩეროს, დაგვაშინოს ან რამე ბოძები მიიღოს. მინდა, მას პირდაპირ ვუთხრა, ვერც შეგვაშინებ ვერაფრით ვერ გაგვაჩერებ. ვერაფრით გააჩერებ იმ ნებას, რომელიც საქართველოს შეცვლის უკეთესობისკენ, ვერ შეაჩერებ იმ ნებას, რომლითაც ეს მახინჯი სისტემა, რომელიც მარბიუანას ბიზნესგეგმებზეა, ახლა კიდევ სხვა რაღაც ბიზნესგეგმებზე გაქვთ თავში ჩადებული.“

ეს ქვეყანა არ არის თქვენი ღირსი და თქვენნაირი მმართველობის ღირსი. გპირდებით, ამას ყოველთვის გავიმეორებ იმ ათასობით ადამიანთან ერთად, რომელიც გვიერთდება. ამ რეალობას ჩვენ შევცვლით უკეთესობისკენ. თქვენ გავიშვებთ პოლიტიკურ, ძალიან დიდ, გრძელვადიან შვებულებაში თქვენს თანამოაზრეებთან ერთად.

კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო „ოცნების“ ე.წ. უცხოეთში განათლებულ ახადგამრდებს – გრცხვენოდეთ, ასეთ რეჟიმს რომ ემსახურებით, გრცხვენოდეთ იმ რეჟიმების, რომელიც ვერ ჩაატარებთ და ვერც ჩაატარებთ, გრცხვენოდეთ იმ სიცარიელის, რომელიც არ გაგაჩნიათ. თქვენ არ გაგაჩნიათ მიზანი, გეგმა, თავმოყვარეობაც

კი, რადგან ასეთ უსამართლობას თქვენ ეგუებით. მაკო გომურის დაზარალებულად არ გამოცხადება არის საბოლოო წერტილი თქვენი ადამიანობისა და თქვენი დამოკიდებულების საერთოდ სამართალსა და სამართლიანობაზე“, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

„თიბისი ბანკის“ ბრადღებური დამფუძნებლების, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის საქმის არსებითი განხილვა 2 დეკემბრისთვის გადაიღო.

როგორც საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი ადგილიდან იუწყება, მიზეზი თბილისის საქარაქო სასამართლოს მოსამართლის, გიორგი არევაძის სამუშაო განრიგი გახდა. მოსამართლის თქმით, სამუშაო გრაფიკი მასთან შეთანხმებული არ ყოფილა და დღეს სხვა სასამართლო პროცესები აქვს ჩანიშნული.

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრადი 24 ივლისს წარედგინათ ჯგუფურად 16 664 000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის რეგარიზაციის ფაქტზე, რასაც ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება – დანაშაული, გათვარისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

თბილისის საქარაქო სასამართლომ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებს, მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო 26 ივლისს შეუფარდა, თითოეულს 700 000 დარის ოდენობით. გარდა ამისა, მათ აეკრძაღათ საზღვრის დატოვება საგამოძიებო უწყების გაფრთხილება-თანხმობის გარეშე.